BAU International University Batumi

ბრძანება N02/340

ქ.ბათუმი 29.05.2025წ

„2025-2026 სასწავლო წლისთვის აბიტურიენტთა საგრანტო კონკურსის გამოცხადების შესახებ“

ვხელმძღვანელობ რა, სასწავლო უნივერსიტეტის წესდებით, დებულებით, „სწავლის დაფინანსების მოპოვების წესი“-თა და სხვა შიდა ნორმატიული აქტებითა და „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით

ვბრძანებ:

1.დანართი 1-ის სახით წარმოდგენილი პირობებით, გამოცხადდეს 2025-2026 სასწავლო წლისთვს აბიტურიენტთა საგრანტო კონკურსი;
2.წინამდებარე ბრძანების საჯაროდ გამოქვეყნება დაევალოს მარკეტინგის სამსახურს;
3.საგრანტო კონკურსის ადმინისტრირების მიზნით, საგრანტო კომისიის აპარატის საქმიანობის უზრუნველყოფა დაევალოს სტუდენტთა მომსახურებისა და კარიერული მხარდაჭერის სამსახურს;
4.ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

თეა მიქელაძე,
რექტორი

BAU International University Batumi LLC (R.N. 445434888) | შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი ბათუმი (ს.კ. 445434888)
Address: 237 Fridon Khalvashi Ave. Batumi
Email: info@bauinternational.edu.ge
Website: bauinternational.edu.ge
Phone: +995 (422) 21-25-35/36
Fax: +995 (422) 21-25-37

დანართი 1

მუხლი 1. კონკურსში მონაწილეობის წინაპირობები

1. საგრანტო კონკურსში მონაწილეობისთვის პირი ვალდებულია აკმაყოფილებდეს ყველა შემდეგ წინაპირობას:
   ა)იყოს საქართველოს მოქალაქე;
   ბ)ფლობდეს საშუალო განათლებას ან იმყოფებოდეს დამამთავრებელ, მე-12 კლასში;
   გ)ერთიანი ეროვნული გამოცდების პრიორიტეტების ჩამონათვალში პირველ ადგილზე მითითებული ჰქონდეს შპს „ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი,ბათუმი".

მუხლი 2. წარმოსადგენი დოკუმენტაცია

1. საგრანტო კონკურსში მონაწილეობისთვის პირი ვალდებულია წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:
   1.1 პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი;
   1.2 ერთიანი ეროვნული გამოცდების პრიორიტეტების ჩამონათვალშიი სასწავლო უნივერსიტეტის პირველ ადგილზე მითითეიბს დამადასტურებელი დოკუმენტი;
   1.3 CV ფოტო სურათით;
   1.4 სამოტივაციო წერილი (არანაკლებ 300 სიტყვა);
   1.5 2 (ორი) სარეკომენდაციო წერილი (რეკომენდატორთა საკონტაქტო ინფორმაციის მითითებით),რომელთაგან 1 (ერთი) უნდა იყოს კლასის დამრიგებლისაგან;
   1.6 აკადემიური მოსწრების დამადასტურებელი დოკუმენტები;
   1.7 სხვა აქტივობების (ოლიმპიადა, კონფერენცია, პროექტი, მათ შორის სატელევიზიო) დამადასტურებელი დოკუმენტები.
2. პირი ვალდებულია ამ მუხლის 1.3, 1.4, 1.5 და 1.6 პუნქტებში მითითებული დოკუმენტები წარმოადგინოს ინგლისურ ენაზე.
3. პირი ვალდებულია დოკუმენტები წარმოადგინოს დედნის ან მის ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა შესაბამის მუხლში პირდაპირაა მითითებული ასლის წარმოდგენის შესაძლებლობის შესახებ.

მუხლი 3. განაცხადების შეფასება

1. საგრანტო კონკურსის ფარგლებში, კონკურსანტი შეფასდება 100 (ასი) ქულიანი სისტემით, საიდანაც 50 (ორმოცდაათი) ქულით შეფასდება წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ხოლო 50 (ორმოცდაათი) ქულით-კონკურსანტებთან გასაუბრება.
2. დოკუმენტაციის შეფასებისას მხედველობაში მიიღება პირის აკადემიური მოსწრება, განხორციელებული აქტივობები და სასწავლო უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელების მოტივაცია.
3. გასაუბრების შეფასებისას მხედველობაში მიიღება პირის კომუნიკაციის უნარ-ჩვევები და ინგლისური ენის ცოდნის დონე.

მუხლი 4.გრანტის ოდენობა და ზღვრული რაოდენობა

1.საგრანტო კონკურსის ფარგლებში გაიცემა 40 (ორმოცი) %-იანი გრანტი, რომლის მოპოვებისათვის პირმა შესაბამისად უნდა დააგროვოს 71-80 და 81-100 ქულა.

2.სასწავლო უნივერსიტეტი უფლებამოსილია საგრანტო კონკურსის ნებისმიერ ეტაპზე დაადგინოს გასაცემი გრანტის ზღვრული რაოდენობა რა შემთხვევაშიც, გრანტი მიენიჭება საუკეთესო შედეგების მქონე კონკურსანტებს.

მუხლი 5. საგრანტო კონკურსის ვადები

1. საგრანტო კონკურსში მონაწილეობისთვის დადგენილი დოკუმენტები მიიღება 2025 წლის 30 მაისიდან 16 ივნისის ჩათვლით. აღნიშნულ ვადაში არასრულად წარმოდგენილი განაცხადი ან ამ ვადის შემდეგ წარმოდგენილი განაცხადები არ განიხილება.
2. წარმოდგენილი დოკუმენტები საგრანტო კომისიის მიერ შეფასდება 2025 წლის 20 ივნისამდე.
3. კონკურსანტებთან,რომლებიც დოკუმენტების შეფასების ეტაპზე დააგროვებენ არანაკლებ 50 ქულას,2025 წლის ივნისში ჩატარდება გასაუბრება.
4. საგრანტო კომისიის მიერ გამარჯვებული კონკურსანტების შესახებ გადაწყვეტილება გამოქვეყნდება არაუგვიანეს 2025 წლის 30 ივლისისა.

მუხლი 6. საგრანტო კომისიის შემადგენლობა

1. კონკურსანტების შფასებისა და გამარჯვებული კონკურსანტების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საგრანტო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1.1 მედიცინის ფაკულტეტის დეკანი- ლეილა ახვლედიანი;

1.2 ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი- ანი ქვათაძე;

1.3 სტუდენტთა მომსახურებისა და კარიერული მხარდაჭერის სამსახურის უფროსი- მარიამ ჭანკურიძე;

1.4 საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი- ელისაბედ დიასამიძე;

1.5 სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატი- სალმა ჰოსამელდინ ჰასსან საიედ მოუსტაფა;

მუხლი 7. საჩივრების განმხილველი კომისია

1. საგრანტო კონკურსის სასწავლო უნივერსიტეტის „სწავლის დაფინანსების მოპოვების წესი“-სა და ამ დებულებით დადგენილი პირობების მოთხოვნათა დაცვით ჩატარების მონიტორინგისათვის, საგრანტო კონკურსში ჩართულ ნებისმიერ პირს უფლება აქვს საგრანტო კომისიის საბოლოო გადაწყვეტილება გაასაჩივროს საჩივრების განმხილველ კომისიაში, მისი საჯაროდ გამოქვეყნებიდან 3 (სამი) დღის ვადაში.

2. საჩივრების განმხილველი კომისია საჩივარს განიხილავს მისი მიღებიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში, შემდეგი შემადგენლობით:
   2.1 იურისტი-ლევან სიამაშვილი;
   2.2 სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი-საჩიტ სონი;
   2.3 აკადემიური საბჭოს წევრი- თეონა გოგიტიძე.

მუხლი 8. გრანტის ამოქმედების წინაპირობები

1. გრანტის ამოქმედება გულისხმობს საგრანტო კონკურსში გამარჯვებული კონკურსანტის მიერ ფინანსური შეღავათით სარგებლობის უფლების მოპოვებას.
2. გრანტის ამოქმედების წინაპირობას წარმოადგენს:
   ა) კონკურსანტის სასწავლო უნივერსიტეტში ჩარიცხვა;
   ბ)კონკურსანტის უცხოეთში მიღებული განათლების უფლებამოსილი ორგანოს მიერ აღიარება (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
   გ)საგრანტო კონკურსში წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნამდვილობის შესაბამისი ფორმით დადასტურება.

მუხლი 9. დასკვნითი დებულებები

1.საგრანტო კონკურსის ფარგლებში არასწორი ან/და ყალბი ინფორმაციის წარმოდგენის შემთხვევაში, საგრანტო კონკურსის კომისია გამოიტანს გადაწყვეტილებას კონკურსანტის დისკვალიფიკაციის შესახებ.

2. საგრანტო კონკურსთან დაკავშირებული საკითხები, რომელიც არ განისაზღვრება ამ დებულებით, რეგულირდება სასწავლო უნივერსიტეტის „სწავლის დაფინანსების მოპოვების წესი“-ს შესაბამისად.

3.სასწავლო უნივერსიტეტი უფლებას იტოვებს საგრანტო კონკურსის ნებისმიერ ეტაპზე შეცვალოს საგრანტო კონკურსის პირობები, დაადგინოს დამატებითი მოთხოვნები ან/და გააუქმოს კონკურსი.

დანართი №

	სახელი გვარი	ორი სარეკომენდაციო წერილი	სამოტივაციო წერილი	სხვა აქტივობა	აკადემიური მოსწრება	გასაუბრება	შემფასებლის კომენტარი
1							
2							
3							
4							
5							

კომისიის წევრის სახელი გვარი/ხელმოწერა

დანართი №

კონკურსანტთა შეფასების ჯამური ფორმა

	კონკურსანტთა სახელი გვარი	კომისიის წევრთა სახელი გვარი	კომისიის წევრთა სახელი გვარი	კომისიის წევრთა სახელი გვარი	კომისიის წევრთა სახელი გვარი	კომისიის წევრთა სახელი გვარი	შეფასების საშუალო არითმეტიკული
1.							
2.							
3.							
4.							
5.							
6							

.....

კომისიის თავმჯდომარის სახელი გვარი /ხელმოწერა